ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის განცხადება საქართველოს 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით

22 ოქტომბერი, 2017
თბილისი, საქართველო,

შესავალი

წინამდებარე განცხადება წარმოდგენილია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საარჩევნო სადამკვირვებლო დელეგაციის მიერ 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით. დელეგაცია ხუთი ქვეყნიდან წარმოდგენილი დამკვირვებლებისგან შედგებოდა. ესენია: კარლ ინდერფურტი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე; პერ ეკლუნდი, ევროკავშირის ყოფილი ელჩი საქართველოში; მარგარეთ კურანი, ბრიტანეთის პარლამენტის ყოფილი წევრი ლეიბორისტული პარტიიდან; რაინ მაკლინი, ოჰაიოს შტატის ქალაქ დეიტონის ყოფილი მერი; ნინა იანკოვიჩი, დემოკრატიის, მმართველობისა და კომუნიკაციების სპეციალისტი; ალექსანდრა კურატკო-ფანი, არჩევნებისა და საპარლამენტო განვითარების დამოუკიდებელი ექსპერტი; დონალდ ბრაუნლი, ვირჯინიის შტატის კონგრესმენის - ჯერალდ კონოლის - კამპანიის მენეჯერი; მელისა მუსიო, NDI-ის პროგრამების დირექტორი; ებრუ აგდუკი, NDI თურქეთის ოფისის დირექტორის მოადგილე; და ლორა თორნტონი, NDI-ის გლობალური ექსპერტი და საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი. ეს განცხადება 12 გრძელვადიანი დამკვირვებლისა და იმ ორი ანალიტიკოსის მიერ გაწეული სამუშოს შედეგებს ეფუძნება, რომლებიც საარჩევნო პროცესებში ჩართული სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობასა და ამ პროცესში დეზინფორმაციის როლს აკვირდებოდნენ. განცხადებაში ასევე წარმოდგენილია NDI-ის ივლისის წინასაარჩევნო შეფასების მისიის მიგნებები.

NDI-ის საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის მიზანია: საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტის ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება; ზოგადი პოლიტიკური გარემოს ანალიზი; იმ ფაქტორების შესწავლა, რომელსაც საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვაზე გავლენის მოხდენა შეუძლია; და რეკომენდაციების გაცემა, რომელიც მშვიდობიანი, სანდო არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნის მიღწევას ემსახურება. NDI ყველა საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიას *არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციისა* და მისი თანმდევი *საერთაშორისო საარჩევნო დამკვირვებლების ქცევის კოდექსის* დაცვით ახორციელებს. ეს დოკუმენტები აღიარებულია 52 წამყვანი საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციის მიერ.

დელეგაციას სურს ხაზი გაუსვას, რომ ეს განცხადება თავისი ხასიათით არის წინასწარი. არჩევნების ოფიციალური შედეგები ჯერ კიდევ არ არის საბოლოო, და საარჩევნო გამოწვევები, თუ არსებობს, ჯერ კიდევ წარმოსადგენი და გადასაწყვეტია. საბოლოოდ საქართველოს მოქალაქეები გადაწყვეტენ თავიანთი არჩევანის სანდოობასა და ლეგიტიმურობას. NDI საარჩევნო მოვლენების მონიტორინგს გააგრძელებს და შემდგომ განცხადებებს საჭიროებისამებრ გამოაქვეყნებს.

შეჯამება

საქართველოსთვის საამაყოა ქვეყნის მნიშვნელოვანი დემოკრატიული მიღწევები, მათ შორის 2012 და 2013 წლებში ხელისუფლების მშვიდობიანი შეცვლა, და 2016 წლის არჩევნები, რომელიც საზოგადოების მიერ შეფასდა, როგორც მოწესრიგებული და კარგად ადმინისტრირებული. საკანონმდებლო და საარჩევნო რეგულაციები საერთაშორისო სტანდარტებთან მეტწილად თანხვედრაშია და დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად ხელსაყრელ გარემოს ქმნის. ქვეყანაში ძლიერია და პატივს სცემენ სამოქალაქო საზოგადოების სექტორს, რაც ქვეყნის დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს მოქალაქეთა ძლიერი სურვილი, გააღრმავონ ინტეგრაცია დასავლეთის დემოკრატიებთან. ქართველები სწორებას მაღალ სტანდარტებზე აკეთებენ და ასევე სხვებისგანაც მოითხოვენ, ისინი ამ მაღალი სტანდარტების შესაბამისად შეაფასონ. დელეგაცია საკუთარ შეფასებას სწორედ ამის გათვალისწინებით წარმოადგენს.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ერთპარტიულ დომინანტობისა და პოლიტიკური პლურალიზმისთვის საფრთხის შექმნასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მზარდი დებატების ფონზე წარიმართა. პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით წარმოდგენილმა მმართველმა პარტიამ - ქართულმა ოცნებამ - კონსტიტუციაში, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსსა და საარჩევნო კოდექსში ახალი ცვლილებები შეიტანა და ეს ყველაფერი ძალიან მოკლე ვადებში ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოებისა თუ პრეზიდენტის მხარდაჭერის გარეშე განახორციელა. ქვეყნის დემოკრატიისთვის ასევე გამოწვევას წარმოადგენს სხვადასხვა შტოებს შორის სუსტი ანგარიშვალდებულებისა და ბალანსის მექანიზმები, ეჭვები სასამართლო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მედია სივრცეში არსებული პრობლემები. სხვადასხვა იდეოლოგიის მქონე ოპოზიციურმა პარტიებმა ერთობლივი განცხადება გააკეთეს და დააფიქსირეს თავიანთი შეშფოთება ზემოაღნიშნული ცვლილებებისა და, ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიულ მმართველობასთან მიმართებაში. თავის მხრივ, მთავრობამ რამდენიმე მიმართულებით შემდგომი რეფორმების აუცილებლობა აღიარა, თუმცა ჯერჯერობით თავის ქმედებებში მნიშვნელოვან საკითხებზე ფართო კონსენსუსის მიღწევის მცდელობა არ გამოუხატავს. ეს გარემოებები ახდენდა გავლენას არჩევნებში მონაწილე მხარეების თვალთახედვებზე და ხელს უწყობდა პოლარიზაციის გაგრძელებას, ერთის მხრივ, მმართველს პარტიასა და, მეორეს მხრივ, ოპოზიციურ პარტიებსა და ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) თავისი ადმინისტრაციული ვალდებულებები დროულად, ეფექტიანად და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით შეასრულა. დამკვირვებლები ქვედა დონის კომისიების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაუმჯობესების კუთხით ცესკოს კეთილ ნებაზე მიუთითებდნენ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საარჩევნო პროცესის მონიტორინგს აქტიურად აწარმოებდნენ, საჩივრებს ავსებდნენ, და რეკომენდაციებს იძლეოდნენ. პარტიებს რეგისტრაცია და საარჩევნო კამპანიის უმეტესად თავისუფლად წარმართვა შეეძლოთ.

არჩევნების დღე მეტწილად ინციდენტების გარეშე წარიმართა და საქართველოს მოქალაქეებმა ისევე, როგორც საარჩევნო კომისიების წევრებმა, პარტიების აქტივისტებმა და კანდიდატებმა, შეინარჩუნეს რა მშვიდობა, დემოკრატიული პრინციპებისადმი მათი ერთგულება დაამტკიცეს. მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებლებმა არჩევნების პროცესის ხელის შეშლისა და ხმის დათვლასთან დაკავშირებული უზუსტობების ცალკეული შემთხვევები დააფიქსირეს, უმეტესწილად ეს არჩევნები ტექნიკურად გამართულად წარიმართა, რაც ამ მიმართულებით წარსული პროგრესის გაგრძელებაა. წინასწარი შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა აქტივობა 45.65 პროცენტი იყო, რაც 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან შედარებით (43.31 პროცენტი) ოდნავ მაღალია.

საარჩევნო კამპანია მხარეებს შორის არსებით შეჯიბრებითობას უმეტესად მოკლებული იყო. პოლიტიკური ველი არათანაბარი იყო. მმართველმა პარტიამ კამპანიის შემოწირულობების დაახლოებით 90 პროცენტი მიიღო და ყველაზე დიდი მედია მხარდაჭერით ისარგებლა, მათ შორის მთავრობის მიღწევებისა და ღონისძიებების გაშუქებით. ამის საპირისპიროდ, ოპოზიციური პარტიები საარჩევნო კამპანიას მწირი ფინანსური რესურსებით აწარმოებდნენ და, შესაბამისად, მათი წარმოჩენა მედია სივრცეში და საზოგადოებაში მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო. წარუმატებლობის განცდა მკვეთრად იგრძნობოდა მათ კამპანიებში. ოპოზიციური პარტიებისა და მიუკერძოებელი ადგილობრივი დამკვირვებლების აზრით, ამ უთანასწორობის მიზეზი ოპოზიციის პოტენციურ შემომწირველებზე ზეწოლა და ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება იყო, თუმცა მმართველი პარტიის აზრით ისინი ოპოზიციაზე უფრო კარგად იყვნენ ორგანიზებულნი, უფრო ეფექტურად წარმართეს თანხების მოზიდვის პროცესი და უფრო დამაჯერებელი ხედვა ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, ასეთი დისბალანსის, სრულყოფილი პოლიტიკური მესიჯებისა და ქვეყნის დიდ ნაწილში დებატების ნაკლებობის ფონზე, იდეებისა და ღირებულებების რეალური ოპონირება შეფერხდა. ბევრი კანდიდატისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის აზრით, არჩევნების შედეგი უკვე წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

22 ოქტომბრის 11 საათის მდგომარეობით, “ქართულმა ოცნებამ” პროპორციული ხმების 55.65 პროცენტი მიიღო, რაც 2014 წლის 50.82 პროცენტთან შედარებით ზრდას წარმოდგენს. მმართველმა პარტიამ საკრებულოს მაჟორიტარული მანდატების უმეტესობა მოიპოვა. საკრებულოს პროპორციული არჩევნებისთვის დაწესებული ოთხ პროცენტიანი ბარიერი ასევე გადალახეს: “ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ”, “ევროპულმა საქართველომ” და “პატრიოტთა ალიანსმა”. მერების არჩევნებში “ქართულმა ოცნებამ” ხუთი თვითმმართველი ქალაქიდან ოთხში, მათ შორის თბილისში, და 59 თვითმმართველი თემიდან 53-ში

პირველივე ტურში გაიმარჯვა. ნოემბერში დაგეგმილი არჩევნების მეორე ტური, ‘‘ქართული ოცნების’’ კანდიდატების მონაწილეობით, 6 ოლქში ჩატარდება.

არჩევნების პირველადი შედეგები ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მართვის ყველა არჩევით დონეზე ერთპარტიული მმართველობა გამყარდა. ეს ტენდენცია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ საქართველოს ყველა მთავრობას ახასიათებს და დემოკრატიის განვითარების გზაზე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ერთი პარტიის მიერ ძალაუფლების კონსოლიდაცია ქვეყანაში ძლიერი და პლურალისტური დემოკრატიის განვითარების შანსებს რისკის ქვეშ დააყენებს. შექმნილ ვითარებაში ინკლუზიური მმართველობისა და დემოკრატიული კონტროლის მექანიზმების შექმნის პასუხისმგებლობა, ცხადია, ხელისუფლებას ეკისრება,

არჩევნების დღის მიგნებები

21 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების დღედ 21 ოქტომბერი გამოაცხადა. ამომრჩევლებმა 4 წლის ვადით 64 საკრებულოს 2,058 წევრი და 59 თვითმმართველი თემისა და 5 თვითმმართველი ქალაქის 64 მერი აირჩიეს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ოლქების სიდიდე დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ყველაზე პატარა ოლქს, სადაც 550 ამომრჩეველია რეგისტრირებული, დაახლოებით 21-ჯერ უფრო მეტი ხმის წონა აქვს, ვიდრე ყველაზე დიდ ოლქს, სადაც 11, 375 რეგისტრირებული ამომრჩეველია. ხმის ასეთი უთანასწორობა ბევრი მიმართულებით აკნინებს პრინციპს, რომლიც მიხედვით ამომრჩეველთა ხმები თანაბარია.

ცესკომ დიდი რაოდენობით დამკვირვებლების, პარტიების, კანდიდატებისა და მედიის წარმომადგენელთა აკრედიტაციის გარდა, საკუთარი 783 წარმომადგენელი დანიშნა, რათა მათ არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობის მონიტორინგი განეხორციელებინათ. თავის მხრივ, საოლქო საარჩევნო კომისიებმა საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობის მონიტორინის მიზნით 239 წარმომადგენელი დანიშნეს. ზემოაღნიშნული სრულად შეესაბამება წინა პრაქტიკას და NDI-ის შუალედური ანგარიშის რეკომენდაციებს.

არჩევნების დღე, ზოგადად, წესრიგის დაცვით წარიმართა. NDI-ის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ იმ უბნებში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ, პროცესებმა გამჭვირვალედ და მშვიდად ჩაიარა. პირველადი მონაცემების მიხედვით, ამომრჩეველთა აქტივობა 45.65 პროცენტი იყო, რაც 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებთან შედარებით (43.31 პროცენტი) ოდნავ მაღალია. საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები მთელი საარჩევნო დღის განმავლობაში თავიანთ ფუნქციებს კეთილსინდისიერად ასრულებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა ცალკეული დარღვევები დააფიქსირეს, მათ შორის ზოგიერთი სერიოზული, გაურკვეველია თუ ამ დარღვევებს რამდენად შეეძლო ხელშესახები გავლენა ჰქონოდა არჩევნების საბოლოო შედეგებზე. დარღვევების დიდი რაოდენობით მარნეულის ოლქი გამოირჩეოდა, სადაც მრავალი

პრობლემა აღინიშნა ადგილობრივი დამკვირვებლების, პარტიებისა და მედიის წარმომადგენლების მიერ.

ბევრ საარჩევნო უბანზე, NDI-ის დამკვირვებელთა თქმით, პარტიის წარმომადგენლები რეგისტრატორების უკან იდგნენ და ამომრჩეველთა შესახებ მონაცემებს იწერდნენ. ცესკოს განმარტებით, ეს პრაქტიკა კანონიერია, თუ პარტიის წარმომადგენლები საარჩევნო უბნის სამუშაო პროცესში არ ერევიან ან სიებიდან ამომრჩევლის პირადი ინფორმაციის ფოტო და ვიდეო გადაღებას არ აწარმოებენ. მიუხედავად ამისა, როგორც NDI-ის დამკვირვებლები აღნიშნავენ, პარტიების წარმომადგენლების ასეთმა აქტივობამ ამომრჩეველთა პროტესტი გამოიწვია, ხოლო ადგილობრივმა დამკვირვებლებმა და საარჩევნო კანდიდატებმა საარჩევნო ადმინისტრაციას მოუწოდეს, ეს პრაქტიკა ამომრჩეველზე შესაძლო გავლენისა და ზეწოლის თავიდან აცილების მიზნით შეეჩერებინა.

NDI-ის დამკვირვებლების ანგარიშის მიხედვით, საარჩევნო უბნები დროულად ან მცირედი დაგვიანებით გაიხსნა, ყველა ძირითადი წესის ზოგადი დაცვით. ადგილობრივი დამკვირვებლები, პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლები თითქმის ყველა იმ საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ, რომელზეც NDI-ის დამკვირვებლები მივიდნენ. წინა არჩევნების მსგავსად, NDI-ის დამკვირვებლებმა სხვადასხვა საარჩევნო უბანზე მრავალი შემთხვევა დააფიქსირეს, როდესაც პირები, რომლებსაც მიუკერძოებელი დამკვირვებლის აკრედიტაცია ჰქონდათ, თავს აცნობდნენ და იქცეოდნენ, როგორც პარტიების წარმომადგენლები, რაც პოტენციურად სამოქალაქო დაკვირვების მცდელობების სანდოობას საფრთხის ქვეშ აყენებს.

საარჩევნო პროცედურები ზოგადად დაცული იყო და, უბნებზე ხალხმრავლობის ზოგიერთი შემთხვევის მიუხედავად, პროცესი ინკლუზიური და გამჭვირვალე იყო. თუმცა NDI-ის დამკვირვებლებმა ხმის მიცემის ფარულობასთან მიმართებაში ზოგიერთი გადაცდომა დააფიქსირეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემთხვევები, როდესაც ამომრჩეველს ურჩევდნენ, თუ ვისთვის მიეცა ხმა ან ხმის მიცემაში დახმარების უფლებას ბოროტად იყენებდნენ კონკრეტული პარტიის სასარგებლოდ. სადამკვირვებლო უბნებზე ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით მცირე პრობლემები დაფიქსირდა.

ადგილობრივმა სადამკვირვებლო ჯგუფებმა რამდენიმე შემთხვევა დააფიქსირეს, როდესაც მათი წარმომადგენლები საარჩევნო უბანზე დროებით არ შეუშვეს ან როდესაც მათი, როგორც დამკვირვებლების, უფლებები შეზღუდეს; ასევე დაფიქსირდა პირდაპირი მუქარა სხვა დამკვირვებელთა ჯგუფის, პარტიის წარმომადგენლების ან უცნობი პირების მხრიდან. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა შემდეგი ძირითადი დარღვევები გამოავლინეს: საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლებისთვის ინსტრუქციის მიცემა, თუ ვისთვის უნდა მიეცათ ხმა; საჩივრების დარეგისტრირებაზე უარი საუბნო კომისიის წევრების მხრიდან; ამომრჩევლის მარკირებას არ გამოყენება ან ამომრჩეველის მარკირებაზე არ შემოწმება; არასწორი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის ნების დართვა. პრობლემები იყო გადასატანი ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებით; ზოგიერთი საარჩევნო უბანი გვიან გაიხსნა და საარჩევნო უბანზე არააკრედიტირებული პირები იმყოფებოდნენ. პარტიებმა, კანდიდატებმა და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა

დელეგაციას საკუთარი წარმომადგენლების რამდენიმე საარჩევნო უბნიდან გაძევების შესახებ აცნობეს; ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია საარჩევნო უბნებზე ფიზიკური დაპირისპირების ზოგიერთი შემთხვევის შესახებ, თუმცა განცხადების წერის პროცესში ასეთი შემთხვევების სრული მასშტაბი ჯერ კიდევ დაუზუსტებელია.

უმეტეს უბნებში ხმის დათვლის პროცესი მშვიდად და წესრიგის დაცვით წარიმართა. თუმცა, NDI-ის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პროცედურები სერიოზულად დაირღვა, ადგილი ჰქონდა შეცდომებს და პროცესის გაჭიანურებას, რაც კომისიის წევრების მიერ პროცედურების არასათანადო ცოდნით ან ხმის დათვლის პროცესში პარტიებთან აფილირებული დამკვირვებლების ჩარევით აიხსნება.

არჩევნების დღეს საარჩევნო ადმინისტრაციაში 300-ზე მეტი საჩივარი გაიგზავნა, უმეტესი მათგანი პროცედურულ დარღვევებს შეეხებოდა.

კვირას, 22 ოქტომბერს, ცესკომ წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით არჩევნების მეორე ტური ექვს ოლქში ჩატარდება. ცესკომ საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებლი ოქმები თავის ვებ-გვერდზე დროულად გამოაქვეყნა.

საარჩევნო კამპანიის გარემო

ოცდაორმა პარტიამ და ხუთმა ბლოკმა პროპორციულ სიებში 12 902 კანდიდატი, ხოლო 201 საინიციატივო ჯგუფთან ერთად, 369 მერობისა და 4 727 მაჟორიტარობის კანდიდატი წარადგინა. მიუხედავად პარტიების სიმრავლისა და მონაწილე კანდიდატების რაოდენობისა, საარჩევნო კამპანია ქვეყნის უმეტეს ნაწილში აქტიური კონკურენციით არ გამოირჩეოდა, თუმცა პარტიების წინასაარჩევნო აქტივობები შეფერხების გარეშე ტარდებოდა. პარტიები და კანდიდატები ან დარწმუნებულნი იყვნენ საკუთარ გამარჯვებაში, ან პირიქით, შეგუებულები მოსალოდნელ შედეგს.

ქართული ოცნების კამპანია ფართომასშტაბიანი იყო და მოიცავდა რეკლამას, კამპანიის მასალებსა და მედია გაშუქებას, მათ შორის, წინასაარჩევნო პერიოდში მთავრობის მიერ განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ გავრცელებულ პოზიტიურ ინფორმაციას. პარტიამ მთლიანი შემოწირულებების თითქმის 90% მიიღო და მთელი ქვეყნის მასშტაბით დაქირავებული ჰყავდა კოორდინატორები. როგორც NDI-ის გრძელვადიანი დამკვირვებლების ანგარიშების მიხედვით, მმართველ პარტიას ზოგიერთ ოლქში დაახლოებით 200 ამომრჩეველზე ერთი კოორდინატორი ჰყავდა. ქართული ოცნების ლიდერების თქმით, მათი ფინანსური უპირატესობა თანხების მოზიდვის კარგი უნარებისა და ხედვის დამსახურებაა. მმართველი პარტიისგან განსხვავებით, ოპოზიციურ პარტიები ფინანსური რესურსების სიმწირეს განიცდიდნენ და აცხადებდნენ, რომ შემომწირველები მათთან თანამშრომლობისაგან თავს იკავებდნენ. ორივე მხარე აღიარებდა მმართველი პარტიის უპირატესობას და მმართველი პარტიის მხარდაჭერის შემთხვევაში შემომწირველებისთვის არსებულ სარგებელს. ფინანსური რესურსების სიმწირის ფონზე ოპოზიციური პარტიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით ატარებდნენ კარდაკარ კამპანიას, აწყობდნენ მცირემასშტაბიან შეხვედრებს, იყენებდნენ უფასო პოლიტიკური რეკლამას, ასევე იაფ სოციალურ მედიას, და თავიანთ აქტივობებს

უმეტესწილად მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქებში ატარებდნენ, რომელიც მათი აზრით ყველაზე კონკურენტუნარიანი იყო. როგორც მმართველი პარტია, ასევე ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ ოპონენტებმა არ მოახდინეს შემოწირულობების სრული დეკლარირება.

ოპოზიციური პარტიების მიერ წარდგენილმა ბევრმა კანდიდატმა კანდიდატურა მოხსნა, მათ შორის ბევრმა საეჭვო მიზეზი დაასახელა, რამაც რამდენიმე საარჩევნო ოლქში საარჩევნო გარემოზე უარყოფითად იმოქმედა. კანდიდატურის მოხსნის ბოლო ვადისთვის (9 ოქტომბერი) ცესკოს გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, 457-მა კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა, მათ შორის 240 პარტიული სიიდან, 196 მაჟორიტარობის კანდიდატი და 21 მერობის კანდიდატი იყო. ამ კანდიდატებიდან თითქმის ყველა ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი იყო. ერთ-ერთ ოლქში ევროპული საქართველოს 17-ვე კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა. უმრავლესობამ მიზეზად საზღვარგარეთ სასწავლებლად გამგზავრება დაასახელა, თუმცა ამ ეტაპზე ამ კონკრეტული მიზეზის სინამდვილის დადასტურება შეუძლებელია. საბოლოო ვადის გასვლის შემდეგაც ოპოზიციურმა პარტიებმა ზეწოლის შედეგად კანდიდატურების მოხსნის დამატებითი შემთხვევები დააფიქსირეს, მათ შორის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის 15, ხოლო ევროპული საქართველოს 30 წარმომადგენლის მხრიდან კანდიდატურის მოხსნა. ოპოზიციური პარტიების განცხადებით, კანდიდატებმა უმეტეს შემთხვევებში მიზეზები არ დაასახელეს, ზოგიერთ შემთხვევაში პარტიასთან საუბარზე უარსაც კი აცხადებდნენ ან კანდიდატურის მოხსნის მიზეზად, სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან, ზეწოლა დაასახელეს. როგორც ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, ზეწოლის ფაქტების დასაბუთება შეუძლებელია. კანდიდატურების მოხსნის შედეგად, რამდენიმე ოლქში ქართულ ოცნების მაჟორიტარობის კანდიდატი ოპონენტის გარეშე დარჩა.

NDI-ის დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ არც მმართველ და არც ოპოზიციურ პარტიებს კონკრეტული მესიჯები ან პრობლემების გადაჭრის გზები არ წარმოუდგენიათ, რაც შეიძლება განსხვავებული ან განსაკუთრებულად საინტერესო ყოფილიყო ისედაც ინდიფერენტულად განწყობილი ამომრჩევლისთვის. თბილისი ამ შემთხვევაში გამონაკლისია. განიხილებოდა ფართო თემები, როგორიცაა გარემოს დაცვა, პენსიები და ეკონომიკური განვითარება, თუმცა, თითქმის არ ჩანდა განსხვავება ამა თუ იმ პარტიის მიერ წარმოდგენილ დაპირებებში, რაც ამომრჩევლებს უშლიდა ხელს, პოლიტიკასა და ხედვაზე დაფუძნებული ინფორმირებული არჩევანი გაეკეთებინათ. მედია მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით ზოგიერთი პარტიის წინასაარჩევნო კამპანია ანტი-დასავლურ და ქსენოფობიურ გზავნილებს შეიცავდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა საქართველოს პატრიოტთა ალიანსი და გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა. მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნო პერიოდის ბოლო დღეებში რამდენიმე სატელევიზიო დებატი ჩატარდა, გრძელვადიანი დამკვირვებლების აზრით, ხშირ შემთხვევაში, დებატები, განსაკუთრებით თბილისის გარეთ, კანდიდატებისთვის წარმოადგენდა საშუალებას, სადაც ისინი თავიანთი მოსაზრებას მოკლედ აფიქსირებდნენ და არ შედიოდნენ ინტერაქციაში ოპონენტებთან. მედია არხების განმარტებით, ხშირ შემთხვევაში, ასეთი ფორმატის შეხვედრები პარტიების მოთხოვნით ტარდებოდა. NDI-ის დამკვირვებლებლებთან საუბრისას ამომრჩევლებმა აღნიშნეს, რომ კანდიდატებს შორის კონკრეტულ პრობლემებზე დიალოგის არქონის გამო

ისინი უმეტესწილად არჩევანს კანდიდატის პიროვნული ღირსებებისა თუ წარსული საქმეების მიხედვით აკეთებენ.

ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით წინასაარჩევნო კამპანია ინტენსიური არ იყო. გამონაკლისი იყო თბილისი, სადაც მერობის კანდიდატები აქტიურად პასუხობდნენ ამომრჩევლების მიერ დასახელებულ პრობლემებს და სთავაზოდნენ კონკრეტულ გამოსავალს. ოპოზიცია უფრო კარგად იყო წარმოდგენილი ბილბორდებზე, პოსტერებზე და სატელევიზიო სივრცეში. მერობის ყველა კანდიდატმა თანხმობა განაცხადა, მონაწილეობა მიეღო წინასაარჩევნო დებატებში. ბოლო ორი კვირის განმავლობაში თბილისში კამპანია გამოცოცხლდა ყოფილი პრემიერ მინისტრისათვის, ბიძინა ივანიშვილისთვის, ქალაქის ცენტრში არსებული ტერიტორიის ერთ ლარად გადაცემის შესახებ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო. საკრებულოს ეს გადაწყვეტილება ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიისა და საპროტესტო ტალღის მთავარ თემად იქცა, დააკავეს რამდენიმე აქტივისტი და ერთი ოპოზიციური კანდიდატი. მიუხედავად იმისა, რომ კამპანიის მიმდინარეობისას ბიძინა ივანიშვილი უმეტესწილად არ ჩანდა, ეს ინციდენტი ასახავს მიმდინარე შეშფოთებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მის გავლენაზე, რაც ბევრისთვის კვლავ გამაღიზიანებელ ფაქტორად რჩება.

წინასაარჩევნო გარემო ქვეყნის მასშტაბით მშვიდობიანი იყო. დაფიქსირდა წინასაარჩევნო აქტივობების ხელის შეშლის, ასევე კანდიდატთა პოსტერების დაზიანების ფაქტები როგორც ოპოზიციის, ასევე მმართველი პარტიის მხრიდან. ასევე დაფიქსირდა ძალადობის ცალკეული შემთხვევები. არჩევნებამდე ორი დღით ადრე ქართული ოცნების კანდიდატი და რამდენიმე აქტივისტი სოფელ ყიზილაჯლოში, მარნეულის რაიონი, წინასაარჩევნო ოფისის წინ დაჭრეს. ქართული ოცნების ლიდერების თქმით, ინციდენტი პოლიტიკური ხასიათის არ იყო და უფრო ბიზნეს-დავას უკავშირდებოდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ნებისმიერი სახის ძალადობას შეუძლია, მდგომარეობა დაძაბოს და ამომრჩევლების მონაწილეობაზე გავლენა მოახდინოს. ასევე დაფიქსირდა ოპოზიციური პარტიების კანდიდატებზე, მათი აქტივისტებსა და ოფისებზე თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა. გარკვეულ შემთხვევებში გამოძიება დაიწყო, თუმცა ამ დროისათვის საბოლოოდ არცერთი შემთხვევა არ გადაწყვეტილა. სამართალდარღვევის ფაქტების გამოძიების შეფერხება მთელ ქვეყანაში დაუსჯელობის განცდას აჩენს და ამან შეიძლება მომავალში ძალადობის ესკალაცია ვერ შეაჩეროს.

ქალთა მონაწილეობა

ქალები პროპორციული წესით ასარჩევი კანდიდატების 37%-ს, მაჟორიტარი კანდიდატების 16.5%-ს, ხოლო მერობის კანდიდატების 13.5%-ს შეადგენდნენ. 64 ოლქში ქართულმა ოცნებამ მერობის მხოლოდ ორი ქალი კანდიდატი წარადგინა, ხოლო ერთიანმა ნაციონაურმა მოძრაობამ, ევროპულმა საქართველომ და პატრიოტთა ალიანსმა - შვიდ-შვიდი. კანდიდატთა შერჩევის პროცესზე საუბრისას პარტიის ლიდერებმა აღნიშნეს, რომ არჩევნებში მონაწილეობის სურვილის მქონდე გამოცდილი ქალების პოვნა რთული იყო. პარტიებმა აღიარეს, რომ ქალი კანდიდატების მომზადება არჩევნებამდე რამდენიმე წლით ადრე უნდა დაიწყონ. თუმცა დელეგაცია მიიჩნევს, რომ წინა (2014) წლის არჩევნების

შემდეგ მრავალი ტრენინგი ჩატარდა იმ ქალებისთვის, ვინც უფრო საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელი როლით არის დაინტერესებული. მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატთა შერჩევის პროცესი პარტიებს შორის განსხვავდება, ხშირ შემთხვევაში ეს პროცესები გამჭვირვალობის ნაკლებობით, არათანაბარი კონკურენციით, დამსახურებასა და გამოცდილებაზე დაფუძნებული პროცედურებისა და მკაფიო კრიტერიუმების არარსებობით გამოირჩევა. ეს კი ხელს უშლის ქალებს - და სხვა კვალიფიციურ პირებს - შერჩევის პროცესში თანაბარ პირობებში მიიღონ მონაწილეობა.

საარჩევნო ადმინისტრაცია და საჩივრები

ამ არჩევნებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა არ შეცვლილა. ცესკოს გარდა, ქვეყნის მასშტაბით 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3600-ზე მეტი საუბნო საარჩევნო კომისი ფუნქციონირებს. ცესკომ უმეტესწილად არჩევნები საკანონმდებლო ჩარჩოს დაცვითა და გამჭვირვალედ ჩაატარა. კომისიამ წინა წლების პრობლემური საკითხების გაუმჯობესების მიზნით და რეკომენდაციების გათვალისწინებით, რამდენიმე დადებითი ნაბიჯი გადადგა. დამატებით, ცესკომ ჩაატარა ინტენსიური ტრენინგ-პროგრამები არამხოლოდ საარჩევნო მოხელეებისთვის, არამედ მოსამართლეებისთვის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის, დამკვირვებლებისთვის, პარტიებისა და კანდიდატების წარმომადგენლებისთვის, ჟურნალისტებისთვის და ა.შ. საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ცესკო რეგულარულად ატარებდა ღია სხდომებს და აქვეყნებდა ინფორმაციას საკუთარი საქმიანობისა და გადაწყეტილებების, ასევე საჩივრების შესახებ ოფიციალურ ვებგვერდზე. მოწყვლადი თემების პრობლემებზე საპასუხოდ, ცესკომ განაგრძო პროგრამები, რომელთა მიზანი საარჩევნო პროცესებში ქალების, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობის ხელშეწყობაა.

ეროვნულ დონეზე პარტიების უმეტესობას ცესკოს პროფესიონალიზმში ეჭვი არ შეაქვს, თუმცა ოპოზიციური პარტიები მუდმივად აპელირებდნენ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შესაძლო მიკერძოებაზე. ცესკომ ინტენსიური ტრენინგები ჩაუტარა წევრთა უმრავლესობას, თუმცა NDI-ის დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა დაბნეულობა პროცედურებთან დაკავშირებით, გამოცდილ წევრებს შორისაც კი, განსაკუთრებით ხმების დათვლის პროცესის დროს. თავის მხრივ, ცესკომ აღნიშნა, რომ კვალიფიციური კადრების შერჩევა გაუჭირდა.

კამპანიის დროს დაფიქსირებულ საჩივრებზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე ორგანოა: ცესკო, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, პროკურატურა, ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლო სისტემა. ამასთანავე, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას (უწყებათაშორისი კომისია) საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და დარღვევებზე რეაგირება ევალება მიზნით. კომისიას შეუძლია, საჩივრები შესაბამის პასუხისმგებელ ორგანოებთან გადაამისამართოს და რეკომენდაციები გააკეთოს.

საჩივრების მოგვარების მექანიზმები კვლავ შეშფოთების საგნად რჩება როგორც ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფებისათვის, ასევე პოლიტიკური ოპონენტებისათვის, რომლებიც აცხადებენ, რომ მათი საჩივრები ხშირად არ განიხილება, უმეტესწილად არსებული კანონების ვიწრო ინტერპრეტაციის გამო. საჩივრების მოგვარების მექანიზმი ძალიან კომპლექსურია, მასში რამდენიმე ორგანოა ჩართული, რაც დაბნეულობას იწვევს. საჩივრის წარდგენისთვის მკაცრი ვადებია განსაზღვრული, ასევე შეზღუდულია წარმდგენი უფლებამოსილი პირების წრე.

არჩევნების დღემდე საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში 141 საჩივარი, განაცხადი და სარჩელი შევიდა. საჩივრები ეხებოდა ისეთ შესაძლო დარღვევებს, როგორიცაა: ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, საჯარო მოხელეების მიერ კამპანიის უკანონო წარმოება და თანამდებობის ბოროტად გამოყენება. დამატებით, 15 საჩივარი შევიდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურში და სამ საკითზე მოკვლევა სამსახურმა შიდა მედია მონიტორინგზე დაყრდნობით დაიწყო. 2 ოქტომბრის მონაცემებით, 43 განცხადება გადაეგზავნა უწყებათაშორის კომისიას. საჩივრების შეტანასთან დაკავშირებით ოპოზიციური პარტიები აცხადებენ, რომ გამოძიების სათანადო რესურსი არ გააჩნიათ და მოწმეების ჩვენებების მოპოვებაც უჭირთ. აღსანიშნავია ისიც, რომ ოპოზიციური პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ცესკოში შეტანილი საჩივრები და უწყებათაშორის კომისიაში წარდგენილი განცხადებები სათანადოდ განხილული არ იქნება. მათი აზრით, უწყებათაშორისი კომისიის მსგავსი ფორმატი მნიშვნელოვანია, თუმცა მისი ეფექტურად მუშაობისთვის უფრო დიდი პოლიტიკური ნებაა საჭირო.

პოლიტიკური პარტიებისა და სადამკვირვებლო ჯგუფების მიერ NDI-ის დამკვირვებლებისთვის გაზიარებული ყველაზე დიდი პრობლემა ადმინისტრაციული რესურსის შესაძლო ბოროტად გამოყენებაა. ეს ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებული პრაქტიკაა, რომელსაც წინა ხელისუფლებებიც მიმართავდნენ. ყველაზე ხშირად გამოთქმული საკითხებია: წინასაარჩევნო პერიოდში საბიუჯეტო ხარჯების ზრდა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება; კამპანიის ღონისძიებებზე დასასწრებად და მხარდამჭერთა მოსაზიდად საჯარო მოხელეების - განსაკუთრებით, მასწავლებლების - მობილიზაცია; და კამპანიის მიზნებისთვის სამთავრობო შენობებისა და აღჭურვილობის გამოყენება. ქართული ოცნების ლიდერებმა აღნიშნეს, რომ პრემიერ მინისტრმა მრავალჯერ ოფიციალურად, წერილობით გააფრთხილა საჯარო მოხელეები, არ გამოიყენონ თანამდებობები საარჩევნო მიზნებისათვის.

სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენების ყველაზე ხშირად გავრცელებული მაგალითები, შესაძლოა, კანონის პირდაპირ დარღვევას არ წარმოადგენდეს, მაგრამ პარტიასა და სახელმწიფოს, ასევე ოფიციალურ ფუნქციებსა და კამპანიის ღონისძიებებს შორის მკაფიო გამიჯვნის პრინციპს ეწინააღმდეგებოდეს. ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, ამ არჩევნების განმავლობაში, ცესკოს მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და უკანონო აგიტაციასთან დაკავშირებული კანონების ვიწრო ინტერპრეტაცია გახდა მიზეზი რიგი საჩივრების არ განხილვისა - ეს გადაწყვეტილებები ხშირად სხვადასხვა ტექნიკურ მიზეზს ეფუძნებოდა. ერთ-ერთი შემთხვევა ეხებოდა ფართოდ გახმაურებული საერთაშორისო საქველმოქმედო საფეხბურთო

მატჩის ჩატარებას, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი ფეხბურთელები იღებდნენ მონაწილეობას. წინასაარჩევნო პერიოდში ეს ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიება იყო და ქართული ოცნების თბილისის მერობის კანდიდატის უშუალო მხარდაჭერითა და მონაწილეობით განხორციელდა. კანდიდატი თავადაც იღებდა მონაწილეობას თამაშში. ცესკომ არ დააკმაყოფილა საჩივარი და მატჩი წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად არ ჩათვალა, რადგან ღონისძიების მსვლელობისას არ მომხდარა კამპანიის მასალების გადაცემა და არ გაჟღერებულა წინასაარჩევნო მიმართვები, თუმცა ზოგიერთმა ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ მალევე საჯაროდ განაცხადა მერობის კანდიდატის მხარდაჭერის შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა საკუთარი მანდატის განხორციელებისას სამართლებრივ ჩარჩოში არსებულ ხარვეზებზე მიუთითეს, რაც მათ კამპანიის დაფინანსების სათანადო გამოძიებაში ხელს უშლის. ისინი ეყრდნობიან სხვა სუბიექტებიდან მიღებულ ინფორმაციას, როგორიცაა ბანკები, სამინისტროები, შემოსავლების სამსახური და თუნდაც საერთაშორისო ბიზნესები, როგორიცაა Facebook, რაც საჭირო მტკიცებულებების მოძიებას ხელს უშლის და აჭიანურებს.

სოციალური მედიის, როგორც ინფორმაციის წყაროს, როლის ზრდა ნიშნავს, რომ მისი გავლენა პოლიტიკურ და სარჩევნო გარემოზე უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამ მხრივ მარეგულირებელი ჩარჩო გარკვეული ხარვეზებით ხასიათდება, რაც კამპანიის დროს შესაძლო დარღვევების გამოძიებას ხელს უშლის.

უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო საათებში კამპანიის წარმოებას, ცესკომ განაცხადა, რომ ვერ დაარეგულირებს სოციალურ მედიაში საჯარო მოხელეების მიერ ამა თუ იმ კანდიდატის მხარდასაჭერად თუ საწინააღმდეგოდ გაკეთებულ პოსტებს, რაც მრავალჯერ დაფიქსირდა ამ არჩევნების დროს.

მედია და საინფორმაციო სივრცე

მოსახლეობის უმრავლესობისათვის ტელევიზია კვლავ ინფორმაციის მთავარ წყაროდ რჩება, თუმცა ონლაინ მედიის როლი დღითიდღე იზრდება. ბოლო რამდენიმე წელია, რაც დაბალანსებული, სრულყოფილი პოლიტიკური გაშუქებისთვის მედია სივრცე მცირდება და ეს სხვადასხვა ირგანიზაციის მიერ კარგად არის აღწერილი. ამის მიზეზებია: რუსთავი-2-ის წინაშე არსებული ფინანსური პრობლემები და სასამართლო დავები; მედია საშუალებების გაერთიანება; ფინანსური სახის პრობლემები რეგიონულ მედიაში; და ასევე მრავალი პოლიტიკური გადაცემის სახეცვლილება თუ საერთოდ გაუქმება საზოგადოებრივ მაუწყებელზე.

წინასაარჩევნო პერიოდში მთავარმა მედია არხებმა დანაპირები შეასრულეს და საარჩევნო კამპანიები გააშუქეს. მედია ორგანიზაციებმა ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საარჩევნო პროცესის მონიტორინგისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, დარღვევების გასაჯაროვების თვალსაზრისით. სატელევიზიო არხები ეთერში ყოველკვირეულ პოლიტიკურ პროგრამებს უშვებდნენ. როგორც ეროვნულმა, ასევე რეგიონულმა მაუწყებლებმა გადასცეს დებატები, რომელშიც პოლიტიკური ოპონენტების უმრავლესობამ

მიიღო მონაწილეობა. ზოგიერთმა მცირე ოპოზიციურმა პარტიამ გამოხატა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ამ გადაცემებში მონაწილეობა მათთვის ხელმისაწვდომი არ იყო.

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისია გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მან დროულად არ გაასაჯაროვა ინფორმაცია მაუწყებლების შემოსავლების შესახებ (რეკლამა, სასპონსორო პაკეტები, შემოწირულობები). კომისიას, რომელსაც კანონი ანგარიშის გამოქვეყნებას კვარტალში ერთხელ ავალდებულებს, მარტიდან მოყოლებული დღემდე მონაცემები არ წარმოუდგენია, რაც დამკვირვებლებისათვის მედიის ფინანსური გამჭვირვალობის და კამპანიის პერიოდში მიღებული შემოწირულობების ეფექტურ მონიტორინგს შეუძლებელს ხდის. კომისიამ განმარტა, რომ გაჭიანურების მიზეზი ორი მაუწყებლის შემოსავლების დეკლარაციის დოკუმენტებში ტექნიკური შეცდომები იყო. თუმცა კომისიას არც სხვა ტელეარხების მონაცემები არ გამოუქვეყნებია.

ბოლო წლების განმავლობაში დეზინფორმაციული შინაარსის მასალების ხშირი გავრცელება ტელევიზიით, სოციალური მედიის არხებით თუ პოლიტიკური კამპანიების წარმოებისას საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ თვისებად იქცა. დეზინფორმაცია დასავლეთს ქართული იდენტობისთვის საფრთხის შემცველად წარმოადგენს; ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს ევროკავშირი არის ქვეყანაში მიგრანტების შემოსვლისა და ტერორიზმის წყარო; ხოლო რუსეთის ფედერაცია - მეზობელი მართლმადიდებელი ქვეყანა და დასავლეთის საპირწონეა. NDI-ის დამკვირვებლებმა ვერ დააფიქსირეს დეზინფორმაციის განსაკუთრებული ზრდა, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის ჩვეული რიტორიკისგან განსხვავებული იქნებოდა. ყალბი თუ შეცდომაში შემყვანი ნარატივების გავრცელების მიუხედავად, ცალკეული კანდიდატებისა თუ პარტიების წინააღმდეგ მათი გამოყენება ქვეყანაში მაღალი პოლიტიკური დაძაბულობის ნიშანი უფროა, ვიდრე საქართველოს საზღვრებს გარედან წამოსული კოორდინირებული დეზინფორმაციის კამპანიისა. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში არ არსებობს მკაფიო მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც დეზინფორმაციის კამპანიას დაარეგულირებს - მაგალითად, საარჩევნო კანონმდებლობა არ ფარავს ინტერნეტით გავრცელებულ მასალებს. ამ ხარვეზებისა და პოლარიზებული მედია გარემოს ერთობლიობა, ასევე სოციალურ მედიაზე მზარდი დამოკიდებულება, საქართველოს სამომავლოდ მოწყვლადს ტოვებს.

რეკომენდაციები

საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებითა და წინასაარჩევნო და არჩევნების დღის დაკვირვებებიდან გამომდინარე, NDI-ის დელეგაცია შემდეგ რეკომენდაციებს წარმოადგენს. დელეგაცია აღნიშნავს, რომ წინა არჩევნებიდან გამომდინარე ბევრი რეკომენდაცია ჯერ კიდევ არ არის ადეკვატურად გადაწყვეტილი და გულწრფელ იმედს გამოხატავს, რომ ეს რეკომენდაციები მომავალი არჩევნების გაუმჯობესებისთვის იქნება გათვალისწინებული.

პარლამენტი:

- პარლამენტმა უნდა განახორციელოს საარჩევნო რეფორმა, რომელიც საარჩევნო დამკვირვებლების დიდი ხნის რეკომენდაციებს უპასუხებს. ეს რეკომენდაციებია: ადგილობრივ არჩევნებზე მაჟორიტარულ ოლქებში ხმის უთანაბრობის გამოსწორება;

საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობის გაუმჯობესება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროცესის მიუკერძოებლობა; ადმინისტრაციულ რესურსებთან, კამპანიის წარმოებასთან და საჩივრების გადაწყვეტის პროცესთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა. ეს ძალისხმევა მონაწილეობითი და გამჭვირვალე უნდა იყოს.

- პარლამენტმა უნდა განიხილოს ის საკანონმდებლო ხარვეზები, რომელიც საინფორმაციო სივრცეს და ონლაინ-მედიას ეხება;
- პარლამენტმა უნდა იფიქროს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადამიანური რესურსების გაზრდის გზებზე, რათა სამსახურმა პოლიტიკური ფინანსების სათანადო და ყოვლისმომცველი ანალიზი შეძლოს და საზოგადოებას ინფორმაცია დროულად მიაწოდას;
- პარლამენტმა უნდა იმსჯელოს საკანონმდებლო ჩარჩოს განახლებაზე, რათა დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის თანაბარი გარემო და ადმინისტრაციული მოთხოვნები უზრუნველყოს;
- საპარლამენტო პარტიებმა უნდა იმსჯელონ ქალთა მონაწილეობის გაზრდის საპარლამენტო მექანიზმების შემუშავებაზე.

საარჩევნო ადმინისტრაცია:

- პარლამენტის მიერ საკანონმდებლო ჩარჩოს გადახედვის პარალელურად, საარჩევნო ადმინისტრაციამ უნდა გამართოს დიალოგი პოლიტიკურ აქტორებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, რათა შემდეგ არჩევნებამდე უზრუნველყოს კამპანიისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების უფრო ფართო განმარტების შემუშავება;
- ცესკომ დაუყოვნებლივ უნდა უპასუხოს ზოგიერთ ოლქში დაფიქსირებულ დარღვევებს და გადაწყვიტოს, სადაც საჭიროა, განმეორებითი კენჭისყრების ჩატარება, განსაკუთრებით იქ, სადაც ამას არჩევნების შედეგზე გავლენა ექნება.

პოლიტიკური პარტიები:

- პარტიებმა ყველა შესაძლო ღონე უნდა იხმარონ ადეკვატური მტკიცებულებების წარმოსადგენად, რაც დაადასტურებს მათ მიერ საარჩევნო დარღვევებზე წარმოდგენილ საჩივრებს, როგორიცაა ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება ან ზეწოლა და დაშინება. საჩივრების გადასაწყვეტად მათ არსებულ ფორმალურ მექანიზმებს უნდა მიმართონ;
- პარტიის ლიდერებმა და კანდიდატებმა მათი მხარდამჭერების მხრიდან ძალადობის ყველა ფაქტის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობა უნდა გამოიჩინონ, ინციდენტებში მონაწილეებს სანქციები დაუწესონ და ინციდენტების გამოსაძიებლად ხელისუფლებასთან ითანამშრომლონ;
- პარტიებმა კანდიდატების შერჩევის შიდა პროცედურების მეტი დემოკრატიულობა უნდა უზრუნველყონ, რათა ხელი შეუწყონ პარტიის სხვადასხვა წარმომადგენლების უფრო ფართო ჩართულობას, რეგიონების ჩათვლით. პარტიებმა უნდა წარმოადგინონ უფრო გასაგები კრიტერიუმები, გაზარდონ გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა და დამსახურებაზე დამყარებული შეჯიბრებითობისთვის თანაბარი შესაძლებლობები უზრუნველყონ;

- პარტიებმა მომავალი არჩევნებისთვის უნდა მოიზიდონ, ტრენინგი ჩაუტარონ, გამსვლელ პოზიციებზე წარადგინონ და მხარი დაუჭირონ მეტ ქალს და განავითარონ პარტიის ინფრასტრუქტურა, რათა ხელმძღვანელ პოზიციებზე მეტი ქალი წაწიონ. ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით პარტიებმა შიდა კვოტების შემუშავებასა და დაცვაზე უნდა იფიქრონ.

სასამართლო და სამართალდამცავი უწყებები:

- უნდა შეიქმნას მოწმეების დაცვის მექანიზმები, რათა საარჩევნო და პოლიტიკური ზეწოლისა და დაშინების მსხვერპლებს ფაქტის გახმაურების და საჩივრის შეტანის არ შეეშინდეთ;
- პროკურატურამ და მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ 2016 და 2017 წლების არჩევნების დროს გამოვლენილი ძალადობის ფაქტების მიუკერძოებელი და დროული გადაწყვეტა, რათა მომავალში მსგავსი შემთხვევები აღიკვეთოს.

მედია:

- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ადრე დაგეგმილი პოლიტიკური თოქ-შოუებისა და საპარლამენტო დებატების ეთერში გაშვება უნდა გააგრძელოს და საზოგადოებისთვის პოლიტიკური შეხედულებების ფართო სპექტრის უზრუნველსაყოფად საეთერო დრო რეგულარულად უნდა დაუთმოს არასაპარლამენტო პარტიებსაც;
- მედია საშუალებებმა უნდა ჩაატარონ ინტენსიური ტრენინგები ჟურნალისტებისთვის და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საგამოძიებო და დეტალურ გაშუქებას.

დელეგაცია და მისი საქმიანობა

NDI-ის დელეგაცია, რომელიც რვა წევრისგან შედგება, თბილისში 16 ოქტომბერს ჩამოვიდა. დელეგაციის წევრებმა შეხვედრები გამართეს პოლიტიკურ ლიდერებთან, კანდიდატებთან, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან. 20 ოქტომბერს NDI-ის სადამკვირვებლო ჯგუფები საქართველოს მასშტაბით რვა რეგიონში გაემგზავრნენ, სადაც ისინი ადგილობრივი ხელისუფლების, საარჩევნო ადმინისტრაციის, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს შეხვდნენ. არჩევნების დღეს, NDI-ის სადამკვირვებლო ჯგუფები ქვეყნის მასშტაბით 100-ზე მეტ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემისა და ხმის დათვლის პროცესს დააკვირდნენ. დამკვირვებელთა ჯგუფები ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესებზე ინფორმაციის მიწოდებას რეგულარულად ახორციელებდნენ, ხოლო არჩევნების დასრულების შემდეგ ისინი მონიტორინგის შედეგების გასაზიარებლად თბილისში დაბრუნდნენ.

დელეგაცია ეყრდნობა წინასაარჩევნო გარემოს შეფასებას, რომლის ანგარიში და რეკომენდაციები 2017 წლის ივლისში შემუშავდა და ასევე 14 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შემდგარი ჯგუფის მიერ გაწეულ საქმიანობას, რომლებმაც ა.წ. აგვისტოდან მოინახულეს 64 ოლქი და ჩაატარეს 500-ზე მეტი შეხვედრა ხელისუფლებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პოლიტიკურ პარტიებთან და

კანდიდატებთან, არასამთავრობო ორანიზაციების, მედიის, საერთაშორისო და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან. NDI ასევე დააკვირდა საარჩევნო კამპანიის პერიოდში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს, საარჩევნო ადმინისტრაციის წევრთა ტრენინგებს და ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომებს. გრძელვადიანი სადამკვირვებლო ჯგუფი არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობაზე დაკვირვებას გააგრძელებს.

NDI მადლობას უხდის ორგანიზაციას ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის (NED) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიასთან ერთად, NDI მხარს უჭერს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) სადამკვირვებლო საქმიანობას.

NDI-ის დელეგაციამ კონსულტაციები გამართა სხვა საერთაშორისო დელეგაციებთან, მათ შორის საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (IRI) და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო), ასევე საქართველოში არსებულ მიუკერძოებელ საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) და საერთო სამოქალაქო მოძრაობა - მრავალეროვანი საქართველო (PMMG).

დელეგაცია მადლობას უხდის ამომრჩევლებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, კანდიდატებს, პოლიტიკური პატრიების ლიდერებს, ადგილობრივ დამკვირვებლებს და სხვა სამოქალაქო აქტივისტებს თანამშრობლობისთვის.

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მხარდაჭერით მსოფლიოში დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მუშაობს. NDI-ს მსოფლიოს ყველა რეგიონში 200-ზე მეტი არჩევნების სადამკვირვებლო მისია აქვს განხორციელებული, მათ შორის არაერთი შეფასება საქართველოში 1992 წლიდან.

NDI საკონტაქტო ინფორმაცია:
ლორა თორნტონი, lthornton@ndi.org (+995 599 566 852)
დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org (+995 577 779 639)